ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1081396

ნომერი: AR1188078

თარიღი : 30.12.2013

გაცემის თარიღი : 15.01.2014

გაცნობის თარიღი : 15.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 17 / ქალაქი თბილისი , ქუჩა მთაწმინდა , N 19 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , ნაკვეთი 01/031 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ყიფიანი , N 31 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა წერეთელი პ/ნ 01026011923
- ქ. თბილისი, ბალანჩივაძის მე-5 კორპ. ბ.15

ორგანიზაცია:
- შპს "კერა დეველოპმენტი" კოდი: 404913974

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.12.2013 წლის #1016931 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისისმერიის სსიპ – ქ. თბილისისარქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 30 დეკემბერს#AR1188078 განცხადებით მომართა მამუკა წერეთელმა და მოითხოვა 04.12.2013 წლის #1016931 ბრძანებაში ცლილებისშეტანა, კერძოდ: საპროექტო შენობის ბლოკების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ინდივიდუალურად განსაზღვრა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.12.2013 წლის #1016931 ბრძანებით ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – მთაწმინდა), მთაწმინდის ქ. #17 / მთაწმინდის ქ. #19 / ყიფიანის ქუჩა, ნაკვ. 01/031, ყიფიანის ქ. #31–ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.15.06.001.008 და #01.15.06.001.038) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში საპროექტო შენობის ბლოკების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა ერთიანად. დღეისათვის დამკვეთი ითხოვს მათ გამიჯვნას წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის შესაბამისად. ამასთან, წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის თანახმად, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმებისას შენობის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითებისას დაშვებული იქნა შეცდომა, კერძოდ: "ა“ ბლოკში საცხოვრებელიფართობი 1286.21 კვ.მ-ს ნაცვლად შეადგენს 1286.76 კვ.მ-ს, საზაფხულო ფართობი 319.68 კვ.მ-ს ნაცვლად შეადგენს 319.61 კვ.მ-ს. ხოლო, "ბ“ ბლოკში საცხოვრებელი ფართობი 2231.81კვ.მ-ს ნაცვლად შეადგენს 2233.07 კვ.მ-ს, საზაფხულო ფართობი 367.88 კვ.მ-ს ნაცვლად შეადგენს 367.91 კვ.მ-ს.

სამსახურმა შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ პროექტით გათვალისწინებულია ორ საკადასტრო ერთეულზე დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა, რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებლად მომუშავე საძირკვლის კონსტრუქციული სისტემა. ასევე, დადგენილი იქნა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, საპროექტო ობიექტი შედგება ორ საკადასტრო ერთეულზე განთავსებული ბლოკებისაგან, რომელთაც გააჩნიათ დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ნაწილები და მათი ექსპლუატაციაში ცალცალკე მიღება შესაძლებელია და ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის 04.12.2013 წლის #1016931 ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.12.2013 წლის #1016931ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

A - ბლოკი:
შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 0 ნიშნულის ზევით: 13.5
შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 0 ნიშნულის ქვევით: 7.1
საერთო ფართობი - 2530.44 მ2
მათ შორის:
საცხოვრებელი ფართობი - 1286.76 მ2
საზაფხულო ფართობი - 319.61 მ2
კომერციული ფართობი - 280.68 მ2
დამხმარე ფართობი - 17.32 მ2
კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი - 166.41 მ2
ავტოსადგომის ფართობი - 459.66 მ2

სამშენებლო მოცულობა 0 ნიშნულის ზევით: 5777.2845
სამშენებლო მოცულობა 0 ნიშნულის ქვევით: 3383.975

B - ბლოკი:
შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 0 ნიშნულის ზევით: 19.26
შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 0 ნიშნულის ქვემოთ: 7.1

საერთო ფართობი - 3741.66 მ2
მათ შორის:
საცხოვრებელი ფართობი – 2233.07 მ2
საზაფხულო ფართობი - 367.91 მ2
კომერციული ფართობი - 347.95 მ2
დამხმარე ფართობი - 59.54 მ2
კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი - 227 მ2
ავტოსადგომის ფართობი - 506.19 მ2

სამშენებლო მოცულობა 0 ნიშნულის ზევით: 8829.9055
სამშენებლო მოცულობა 0 ნიშნულის ქვევით: 2983.975

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 04.12.2013 წლის #1016931 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.